ხელშეკრულება საქონლის
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №85

19 აპრილი 2019 წელი

ქ. თბილისი

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, მდებარე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2-ში, წარმოდგენილი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) ელენე დუმბაძის სახით (შემდგომში– შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ, შპს „სანტა ესპერანსა", მდებარე: ქ. თბილისი, სანქტ-პეტერბურგის 12; წარმოდგენილი დირექტორის მადონა ელიაშვილის სახით (შემდგომში– მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ამა/წლის 23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისის რამდენიმე სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებაზე მიწვეულ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საჩუქრად გადასაცემი საკითხავი წიგნების სახელმწიფო შესყიდვა (იხ.დანართი), ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2 კლასიფიკატორის კოდი: 221 000 00; 221 100 00.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1 512.24 (ერთიათას ხუთასთორმეტი) ლარს და 24 თეთრს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია საქონლის შესყიდვასთან) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2019 წლის 23 აპრილის ჩათვლით.
3.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.
3.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".
4.3. „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტისა და წუნდების მიზეზის მითითებით.
4.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ნინო ვაშაკიძის დასკვნის საფუძველზე განახორციელებს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი ხვიჩა ბენდელიანი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
- დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

6.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

6.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო.

7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): საქონლის მიღების შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების

ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.
8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.5 ხელშეკრულების გასვლიდან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს–მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
10.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
10.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან ანხორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნინო ვაშაკიძე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს

იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
11.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის უშედეგოდ გასვლის შემდგომ დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 10 ივნისის ჩათვლით.
12.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:
ა) მხარეთა შეთანხმებით.
ბ) ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების „მხარეთა" მიერ შეუსრულებლობით;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
13.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.5. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
მის: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი: TRESGE22
ა/ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022
ს/კ 204 495 055

ელენე დუმბაძე

მიმწოდებელი:

შპს „სანტა ესპერანსა"
მის: ქ.თბილისი, სანქტ-პეტერბურგის 12
სს „თი ბი სი ბანკი"
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE 68 TB 1100 0000 1146 7961
ს/კ 202 272 138

მადონა ელიაშვილი

დანართი

N	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	საცალო ფასი	საერთო ღირებულება
1	ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა	ცალი	8	10.43	83.44
2	ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	ცალი	8	11.18	89.44
3	მარტოობის ასი წელიწადი	ცალი	8	12.75	102.00
4	ქართულის რვეულები XIX საუკუნის სურათები	ცალი	8	11.18	89.44
5	ტომ სოიერის თავგადასავალი (11-12)	ცალი	8	5.93	47.44
6	ბულერბიელი ბავშვები (9-10)	ცალი	8	6.68	53.44
7	ემილის თავგადასავალი (9-10)	ცალი	8	8.18	65.44
8	დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა (7-8)	ცალი	8	5.93	47.44
9	ნახევრად ცუდი(აქცია)	ცალი	8	9.68	77.44
10	შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი (11-12)	ცალი	8	8.18	65.44
11	სამი მეკობარი (რბ)	ცალი	8	11.18	89.44
12	ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი (11-12)	ცალი	8	6.68	53.44
13	რევაზ ინანიშვილი რჩეული მოთხრობები 10 წლიდან	ცალი	8	6.68	53.44
14	მარტა და დიდედა, დიდედა და მორტენი (7-8)	ცალი	8	5.93	47.44
15	დიდედა და რვა ბავშვი ტყეში (7-8)	ცალი	8	6.68	53.44
16	ანტონის პატარა საჩუქარი (7-8)	ცალი	8	5.93	47.44
17	დიდედას სახელობის გზა (7-8)	ცალი	8	5.93	47.44
18	ველოტური დანიაში (7-8)	ცალი	8	5.93	47.44
19	ქურდების მბრძანებელი(11-12)	ცალი	8	8.18	65.44
20	კონსერვის რიგი რ/გ	ცალი	8	12	96.00
21	მორტენი, დიდედა და ქარიშხალა(7-8)	ცალი	8	5.93	47.44
22	ძმები გრიმების ზღაპრები(6 წლიდან)	ცალი	8	5.18	41.44
23	ღამის ცირკი	ცალი	8	12.68	101.44
	მთლიანი თანხა				**1,512.24**

შემსყიდველი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

ელენე დუმბაძე

მიმწოდებელი

შპს „სანტა ესპერანსას" დირექტორი

მადონა ელიაშვილი